სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

02/07/2026

MES 0 26 0000844812

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული გადამზადების პროგრამის "სადგურის მორიგე" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2026 წლის 1 ივლისის №828329 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) პროფესიული გადამზადების პროგრამა "სადგურის მორიგე" **(დანართი).**

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02624	სადგურის მორიგე	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	6	ქართული	40	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2026 წლის 29 მაისის

ბრძანებით N125

.....

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: სადგურის მორიგე
პროგრამის სახე: ☐ პროფესიული მომზადება ☒ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☒ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 6

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება, სადგურის მორიგის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო ცნობა აღნიშნულ სფეროში.

პროგრამის მიზნები: გადაამზადოს მსმენელი რკინიგზის სადგურის მორიგის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება სადგურში მატარებლების მიღების, გაგზავნის, გატარების და სამანევრო მუშაობის უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. რკინიგზის სადგურები და მათი მუშაობის ტექნოლოგიების აღწერა;
2. მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის აღწერა
3. მატარებლის მიღების წესების და პროცედურების აღწერა;
4. მატარებლის გაგზავნის წესებისა და პროცედურების აღწერა;
5. არასტანდარტულ სიტუაციაში მატარებლის მიღება/გაგზავნის წესების აღწერა;
6. აღმდგენი, სახანძრო მატარებლების და დამხმარე ლოკომოტივების მიღება-გაგზავნის პროცესის აღწერა;
7. სამეურნეო მატარებლების და სპეციალური თვითმავალი სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის ორგანიზების აღწერა რკინიგზის ლიანდაგებზე და ხელოვნურ ნაგებობებზე სამუშაოების წარმოებისას;
8. მატარებლის მიღება-გაგზავნა სადგურში

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** „სარკინიგზო გადაზიდვები“
- **მოდულები:**
- რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები - 10.11.1.2

➢ მატარებლის მიღება-გაგზავნის უზრუნველყოფა სადგურში - 10.11.1.4
პროგრამის მოკლე აღწერა: სადგურის მორიგის პროფესიული გადამზადების პროგრამა ითვალისწინებს დარგში არსებული კადრების გადამზადებას დროის მოკლე პერიოდში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური სადგურის მორიგის გადამზადებისთვის. წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 6 კვირა და 120 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსით სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება, სადგურის მორიგის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მინიმუმ 1 წლიანი სამუშაო ცნობა აღნიშნულ სფეროში.. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლოგარემო
1	• საუბნო სადგურთა ძირითადი სქემები; • საუბნო სადგურების მუშაობის ტექნოლოგია; • სამგზავრო, სატვირთო დამახარისხებელი მოწყობილობები საუბნო სადგურებზე; • სამგზავრო და სატვირთო მოწყობილობები საუბნო სადგურებზე; • მახარისხებელი სადგურები – მათი დანიშნულება, სქემები და მოწყობილობები; • მახარისხებელ სადგურთა დანიშნულება, კლასიფიკაცია და განლაგება რკინიგზის ქსელზე;	1	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A; C

	• მახარისხებელ სადგურთა სალიანდაგო განვითარების სქემები; • მახარისხებელ სადგურთა მუშაობის ტექნოლოგია; • მახარისხებელი და სატვირთო მოწყობილობები მახარისხებელ სადგურებზე; • მახარისხებელი მოწყობილობები; • მახარისხებელი გორაკის მუშაობის ორგანიზაცია; • სატვირთო მოწყობილობანი მახარისხებელ სადგურებზე; • სატვირთო სადგურები – მათი დანიშნულება, სქემები და მოწყობილობები; • სატვირთო სადგურთა დანიშნულება, კლასიფიკაცია და განლაგება რკინიგზის ხაზებზე; • საერთო სარგებლობის (არასპეციალიზებული) სატვირთო სადგურები და მათი სალიანდაგო განვითარების სქემები; • სპეციალიზებული სატვირთო სადგურები და მათი სალიანდაგო განვითარების სქემები; • სატვირთო მოწყობილობები სატვირთო სადგურებზე; • კომბინირებული ტიპის სამგზავრო სადგურთა სქემები.					
2	• მატარებელთა ფორმირების გეგმა; მატარებლის წარმოქმნასთან (ჩასახვასთან) დაკავშირებული პროცესები; • მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი; • მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის არსი, მნიშვნელობა და კლასიფიკაცია; • მოძრაობის გრაფიკის ელემენტები; • რკინიგზის ხაზის გამტარ და გამზიდუნარიანობა;	2	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A; C

	• რკინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის მართვის პრინციპები; • მატარებელთა მოძრაობის დისპეტჩერული ხელმძღვანელობა.					
3	• მატარებლების მიღების მარშრუტზე გასვლითი მანევრების შეწყვეტა; • მატარებლების მიღების წესები შესასვლელი შუქნიშნის ამკრძალავი ჩვენებისას; • საისრე გადამყვანის გადაყვანის წესები სცბ-ს მოწყობილობების უწესივრობის დროს; • მატარებლის დამაგრების ნორმები და წესები; • მატარებლების გაგზავნისას ნებართვის სახეები გასასვლელი შუქნიშნის ამკრძალავი ჩვენებისას; • მატარებლების გაგზავნის მარშრუტზე გასვლითი მანევრების შეწყვეტა; • გასაგზავნი მატარებლის სანატურო ფურცელის შევსების წესი; • მატარებლის სიგრძისა და მასის გაანგარიშების წესი მატარებლის ფორმირების გეგმის შესაბამისად	3,4	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A; C
4	• მატარებლების მიღება-გაგზავნა სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალების მოქმედების შეწყვეტისას: • ერთლიანდაგიან გადასარბენზე სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალების მოქმედების შეწყვეტისას მატარებლების მოძრაობის წესი; • ორლიანდაგიან გადასარბენზე სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალების მოქმედების	5,6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A; C

	შეწყვეტისას მატარებლების მოძრაობის წესი; • ნებართვის ფორმები აღმდგენი და სახანძრო მატარებლების და დამხმარე ლოკომოტივების გაგზავნისას.					
5	• სამეურნეო მატარებლების გაგზავნა გადასარბენის დაუკეტავად; • სამეურნეო მატარებლების გაგზავნა გადასარბენის დაკეტით; • დაკეტილი გადასარბენის (ლიანდაგის) გახსნის წესი; • მატარებლების მიღება შესასვლელი შუქნიშნის ამკრძალავი ჩვენებისას; • მატარებლის მიღებისათვის საჭირო მარშრუტის მომზადება; • ისრების გადაყვანა მართვის ხელსაწყოების ნორმალური მოქმედებისას;	7,8	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
6	• მატარებლების მიღება-გაგზავნა სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის ყველა საშუალების მოქმედების შეწყვეტისას; • · აღმდეგნი და სახანძრო მატარებლების, სპეციალური თვითმავალი სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობისა და დამხმარე ლოკომოტივების მიღება-გაგზავნა; • · მატარებლის სადგურიდან გადასარბენზე გაგზავნა; • · მატარებლის გადასარბენიდან გამგზავნ სადგურში დაბრუნება; • · გადასარბენზე გაჩერებული მატარებლისათვის დახმარების აღმოჩენა უკან მიმავალი მატარებლის ლოკომოტივით; • · ნებართვების ფორმა აღმდგენი და სახანძრო მატარებლების, სპეციალური თვითმავალი	8	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობისა და დამხმარე ლოკომოტივების გაგზავნისას; • · სამეურნეო მატარებლების გაგზავნა გადასარბენის დაუკეტავად; • · სამეურნეო მატარებლების გაგზავნა გადასარბენის დაკეტით; • · დაკეტილი გადასარბენის (ლიანდაგის) გახსნა.					

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
• რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის საფუძვლები - 10.11.1.2	1. რკინიგზის სადგურები და მათი მუშაობის ტექნოლოგიების აღწერა; 2. მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის აღწერა
• მატარებლის მიღება-გაგზავნის უზრუნველყოფა სადგურში - 10.11.1.4	1. მატარებლის მიღების წესების და პროცედურების აღწერა; 2. მატარებლის გაგზავნის წესებისა და პროცედურების აღწერა; 3. არასტანდარტულ სიტუაციაში მატარებლის მიღება/გაგზავნის წესების აღწერა; 4. აღმდგენი, სახანძრო მატარებლების და დამხმარე ლოკომოტივების მიღება-გაგზავნის პროცესის აღწერა; 5. სამეურნეო მატარებლების და სპეციალური თვითმავალი სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის ორგანიზების აღწერა რკინიგზის ლიანდაგებზე და ხელოვნურ ნაგებობებზე სამუშაოების წარმოებისას; 6. მატარებლის მიღება-გაგზავნა სადგურში